დანართი №1

მეთოდური მითითება
დებიტორული დავალიანების ნაშთის დაბეგვრის შესახებ
(მეთოდური მითითება განსაზღვრავს მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებით დაბეგვრის საკითხებს)

ფაქტობრივი გარემოება

სააღრიცხვო დოკუმენტაციით ან/და სხვა მტკიცებულებებით საწარმოს უფიქსირდება საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით წარმოქმნილი მოთხოვნა (დებიტორული დავალიანება). ამასთან, შემოწმებით დადგინდა, რომ საქონლის/მომსახურების მიმღების მიერ აღნიშნული დავალიანება ანაზღაურებულია სრულად, რასაც ასევე ადასტურებს საქონლის/მომსახურების მიმწოდებელი.

საგადასახადო შემოწმების პროცესში ჩატარებული სალაროს ინვენტარიზაციის შედეგად, ანაზღაურებული მოთხოვნის (დებიტორული დავალიანების) თანხის საწარმოს სალაროში არსებობის ფაქტი არ დადასტურდა. ანაზღაურებული თანხა ასევე არ ფიქსირდება საწარმოს საბანკო ანგარიშებზე.

შეფასება და შედეგი

I - გადასახადის გადამხდელის მიერ შესაბამისი მტკიცებულებების ან/და ახსნა-განმარტების წარდგენის შემთხვევაში, მისი განმარტების შესაბამისად, ზემოაღნიშნული თანხა დაკვალიფიცირდება, როგორც საქონლის/მომსახურების მიმღების მიერ დავალიანების ანაზღაურების თარიღიდან/თარიღში გაცემული:

ა) პროცენტიანი ან უპროცენტო სესხი;

ბ) დივიდენდი;

გ) ხელფასი.

შენიშვნა: გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება ან/და ახსნა-განმარტება შეიძლება მოიცავდეს როგორც ჩამოთვლილი ვარიანტების კომბინაციას, ისე შესაბამისი თანხის (თანხის ნაწილის) სხვა სახის განაცემად დაკვალიფიცირების შემთხვევას.

II - გადასახადის გადამხდელის მიერ შესაბამისი მტკიცებულებების ან/და ახსნა-განმარტების წარუდგენლობის შემთხვევაში, მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ღირებულება (დებიტორული დავალიანების თანხა) ჩაითვლება საქონლის/მომსახურების მიმღების მიერ დავალიანების ანაზღაურების თარიღიდან მთელი შესამოწმებელი პერიოდის განმავლობაში (შესამოწმებელი პერიოდის ბოლო თარიღის ჩათვლით) საწარმოს დირექტორზე (თუ არ არსებობს სხვა იდენტიფიცირებადი პასუხისმგებელი პირი) გაცემულ **უპროცენტო სესხად.**

მაგალითი №1

ფაქტობრივი გარემოება

2018 წლის 1 თებერვალს დაინიშნა შპს A-ს 2017 წლის საანგარიშო პერიოდის საგადასახადო შემოწმება. შპს A-ს საქმიანობის საგანს წარმოადგენს ავეჯის შეძენა-რეალიზაცია. შესამოწმებელ პერიოდში საწარმოს განხორციელებული აქვს მხოლოდ ორი ოპერაცია:

1. შემდგომი გადახდის პირობით, 2017 წლის 1 თებერვალს, შპს A-მ შპს B-ს მიაწოდა 100 000 ლარის ღირებულების ავეჯი. აღნიშნული ოპერაცია შპს A-მ ასახა ბუღალტრულ აღრიცხვაში.

2. 2017 წლის 1 აპრილს, შპს B-მ შპს A-ს ნაღდი ანგარიშსწორებით სრულად აუნაზღაურა ავეჯის მიწოდებით წარმოქმნილი დავალიანება, რაც დასტურდება შესაბამის დოკუმენტზე შპს A-ს ბუღალტრის ხელმოწერით. აღნიშნული ოპერაცია შპს A-მ არ ასახა ბუღალტრულ აღრიცხვაში.

შეფასება და შედეგი

I - შემოწმების პროცესში გადასახადის გადამხდელს რეკომენდაციის სახით ეცნობება, რომ სათანადო მტკიცებულებების ან/და ახსნა-განმარტების წარმოდგენის შემთხვევაში, დებიტორული დავალიანების ნაშთი - 100 000 ლარი შესაძლოა განხილულ იქნას შესაბამის პირზე გაცემულ პროცენტიან სესხად, უპროცენტო სესხად, დივიდენდად, ხელფასად ან ერთდროულად, პროცენტიან სესხად, უპროცენტო სესხად, დივიდენდად და ხელფასად. შესაბამისად:

ა) დებიტორული დავალიანების ნაშთის <u>**პროცენტიან სესხად**</u> განხილვის შემთხვევაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98[2] მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 117 647 ლარი (100 000/0,85), ხოლო კუთვნილი მოგების გადასახადი - 17 647 ლარი (117 647 * 0,15);

ბ) დებიტორული დავალიანების ნაშთის (100 000 ლარი) <u>**უპროცენტო სესხად**</u> განხილვის შემთხვევაში, შპს B-ს მიერ შპს A-სთვის 2017 წლის 1 აპრილს ანაზღაურებული თანხა - 100 000 ლარი, ამავე თარიღიდან შესამოწმებელი პერიოდის ბოლომდე, შესამოწმებელი პერიოდის ბოლო თარიღის (31.12.2017 წლის) ჩათვლით განიხილება შპს A-ს მიერ გაცემულ უპროცენტო სესხად. ამასთან:

● საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98[2] მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 117 647 ლარი (100 000/0,85), ხოლო კუთვნილი მოგების გადასახადი - 17 647 ლარი (117 647 * 0,15);

● უპროცენტო სესხად განხილვის შედეგად გამოანგარიშებული ჯამური სარგებელი იქნება 15 000 ლარი (100 000* 0,2 * 9/12);

შენიშვნა: 20% განსაზღვრულია „საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის საპროცენტო განაკვეთების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 იანვრის N34 ბრძანების შესაბამისად.

● საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ჯამური ბაზა იქნება 18 750 ლარი (15 000 / 0,8), ხოლო კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი - 3 750 ლარი (18 750 * 0,2).

გ) დებიტორული დავალიანების ნაშთის (100 000 ლარი) **<u>დივიდენდად</u>** განხილვის შემთხვევაში, შპს B-ს მიერ შპს A-სთვის 2017 წლის 1 აპრილს ანაზღაურებული თანხა ჩაითვლება ამავე თარიღში (01.04.2017-ში) გაცემულ დივიდენდად. ამასთან:

● დივიდენდით დასაბეგრი ბაზა იქნება 105 263 ლარი (100 000/0,95), ხოლო დივიდენდზე გადასახდელი თანხა - 5 263 ლარი (105 263 * 0,05);

● მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 123 839 ლარი (105 263/0,85), ხოლო კუთვნილი მოგების გადასახადი - 18 575 ლარი (123 839 * 0,15).

დ) დებიტორული დავალიანების ნაშთის (100 000 ლარი) **<u>ხელფასად</u>** განხილვის შემთხვევაში, შპს B-ს მიერ შპს A-სთვის 2017 წლის 1 აპრილს ანაზღაურებული თანხა ჩაითვლება ამავე თარიღში (01.04.2017-ში) გაცემულ ხელფასად. ამასთან, საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 125 000 ლარი (100 000/0,8), ხოლო კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი - 25 000 ლარი (125 000 * 0,2).

II - გადასახადის გადამხდელის მიერ შესაბამისი მტკიცებულებების ან/და ახსნა-განმარტების წარუდგენლობის შემთხვევაში, შპს B-ს მიერ შპს A-სთვის 2017 წლის 1 აპრილს ანაზღაურებული თანხა 100 000 ლარი, ამავე თარიღიდან შესამოწმებელი პერიოდის ბოლომდე, შესამოწმებელი პერიოდის ბოლო თარიღის (31.12.2017-ის) ჩათვლით განიხილება შპს A-ს ბუღალტერზე (რამდენადაც დოკუმენტზე ფიქსირდება შპს A-ს ბუღალტრის ხელმოწერა) გაცემულ **<u>უპროცენტო სესხად</u>**. ამასთან:

● საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98[2] მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 117 647 ლარი (100 000/0,85), ხოლო კუთვნილი მოგების გადასახადი - 17 647 ლარი (117 647 * 0,15);

● უპროცენტო სესხად განხილვის შედეგად გამოანგარიშებული ჯამური სარგებელი იქნება 15 000 ლარი (100 000* 0,2 * 9/12);

შენიშვნა: 20% განსაზღვრულია „საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის საპროცენტო განაკვეთების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 იანვრის N34 ბრძანების შესაბამისად.

● საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ჯამური ბაზა იქნება 18 750 ლარი (15 000 / 0,8), ხოლო კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი - 3 750 ლარი (18 750 * 0,2).